ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ". აღნიშნული კანონის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად.

განკარგულების მიღება იწვევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს #42 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - ვალერი ყაჭეიშვილი.

მუნიციპალიტეტის მერი: *დავით შარაშიძე*